განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კინოწარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

03.05.2022

04.07.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კინოწარმოება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი / Master of Audiovisual Arts
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქეთევან ტრაპაიძე** - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მაია ლევანიძე** - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქრისტინე ჩიხლაძე** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მარიამ მაჭავარიანი** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციო წარმოდგენილი კინოწარმოების ახალი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მისი მიზნებიდან გამომდინარე ორიენტირებულია აღზარდოს კინოწარმოების მიმართულების მაღალი კლასის სპეციალისტები რომლებსაც ექნებათ კვალიფიკაცია ფილმწარმოების სრული ციკლის, მოსამზადებელი პერიოდიდან მის მარკეტინგამდე. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს ანუ 4 სემესტრს და მოიცავს 120 კრედიტს, სადაც 108 კრედიტი მოდის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებზე, 12 კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებზე. სავალდებულო 108 კრედიტიდან 78 სავალდებულო სასწავლო კომპონენტია, ხოლო 30 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში.

კინოწარმოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს უნივერსიტეტში „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე გამოცდა.

სამაგისტრო პროგრამა ვინაიდან ახალია სტუდენტები არ ჰყავს. პროგრამის განხორციელებას ემსახურება 15 აკადემიური პერსონალი, სადაც 2 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია (ასოცირებული პროფესორი) და აფილირებულნი არიან უნივერსიტეტთან. სასწავლო პროცესში ჩართულია 13 მოწვეული პერსონალი. პროგრამას ჰყავს სამაგისტრო ნაშრომის 3 ხელმძღვანელი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი შედგა 2022 წლის 3 მაისს. ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში ადგილზე, თუმცაღა გარკვეულ შერჩევის ჯგუფებს (სტუდენტები და კურსდამთავრებულები) ექსპერტები გაესაუბრნენ ზუმ პლატფორმის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაესაუბრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს, პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ვიზიტს ჰქონდა საქმიანი და თანამშრომლური ხასიათი, ექსპერტებსა და დაწესებულებას შორის შედგა კონსტრუქციული თანამშრომლობა. დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული რესურსები, სტუდენტისა და ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალები. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ უნივერსიტეტისა და პროგრამის წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შემდგომ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან: 1.1. მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 1.2. კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2 სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან: 2.1. 2.4. 2.5. და 2.6. კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 2.2. და 2.3. კომპონენტები ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3 სტანდარტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან: 3.1. და 3.2. კომპონენტები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან: 4.2 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.1. 4.3. და 4.4. კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

5 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან: 5.1. და 5.3. კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 5.2. კომპონენტი სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, მიზნების დავიწროება, დაზუსტება და დაკონკრეტება, რათა მათში აისახოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
- რეკომენდებულია, ჩატარდეს ვალიდური და სანდო შრომის ბაზრის კვლევა ქართული კინოწარმოების სფეროში არსებული მოთხოვნების შესასწავლად და საჭიროებების გამოსავლენად, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს საშუალებას მისცემს შექმნას შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა;
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან, მათში მოხდეს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული კინოწარმოების ყველა სეგმენტისთვის (რეჟისურა, პროდუსინგი, ხმის ოპერატორი და ა.შ.)

დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სრულად ასახვა;

- რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების პერსპექტივაზე ჩაღრმავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება შთაბეჭდილება რომ საბოლოოდ ეს უნარები, ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ზედაპირული ხასიათის იქნება და პროფესიის დაუფლებისას, პრობლემას შექმნის კონკრეტული კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების საკითხში;
- რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის (სულ 19 სწავლის შედეგი) და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება; პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვის შემდგომ მოხდეს მათი თემატური კონცენტრაცია - გაერთიანება;
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები თუ ფორმულირებები;
- რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მითითებით;
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რათა ერთი მხრივ, მოხდეს პროგრამის შინაარსით მოაზრებული შესაბამისი უნარების პროგრამის აღწერილობაში გამოტანა, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში არსებული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები დაუკავშირდეს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს;
- რეკომენდებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიღების წინაპირობების ერთიანი მოცემულობა და დაისვას საკითხი, ერთსა და იმავე სწავლების დონეზე შექმნის თუ არა რისკს, სხვადასხვა მომზადების საფუძველზე, წინაპირობების გარეშე ფორმირებული ჯგუფის მუშაობა ოსტატებთან და პედაგოგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას;
- რეკომენდებულია, დეტალურად გაიწეროს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რათა გასაუბრების პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური;
- რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები სრულყოფილად უზრუნველყოფდნენ სიღრმისეული და სისტემური, სამაგისტრო დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, ხოლო არჩევითი კურსები წარმოადგენდეს მათ დამატებას და ხელს უწყობდეს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენას. შესაბამისად, სავალდებულო კურსები, როგორიცაა ხმის დიზაინი I, კინოდრამატურგის ოსტატობა I, უნდა გაძლიერდეს ამავე დასახელების არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსით ან ეს არჩევითი სასწავლო კურსები კურიკულუმში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ქუდქვეშ;
- რეკომენდებულია, სიღრმისეულად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, გაიზარდოს თეორიული სეგმენტის წილი და გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების სისტემა, რათა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებთან;

- რეკომენდებულია, განხორციელდეს წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოდიფიცირება, მათი გაზომვადობის, მიღწევადობის და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს კინომუსიკის, კინომხატვრობისა და კინოსაოპერატორის ოსტატობის სასწავლო კურსებში უნარების ქუდქვეშ არსებულია სწავლის შედეგები, რადგან მათი თეორიული ერთიანობის ხედვა პრობლემურია. რეკომენდებულია, თითოეული მათგანის სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ აუცილებელი უნარები და ასევე, დარგისთვის რელევანტური სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია, კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-ვიზუალური რეჟისურის, მონტაჟის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსებში მოხდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა, საკონტაქტო საათების გაზრდა და დიფერენცირება სალექციო და სტუდიური მუშაობის საათებად;
- რეკომენდირებულია, საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის და აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების კურსებში გამოყენებული იქნას თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურა;
- რეკომენდებულია პრაქტიკული და თეორიული ნამუშევრის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომის სახით, ვინაიდან სამაგისტრო დონეზეა საუბარი და პროგრამის ფარგლებში შესაფასებელია რამდენიმე სეგმენტი კინოწარმოებიდან (რეჟისორი, პროდიუსერი, კინოოპერატორი, ხმის დიზაინი და სხვ.);
- რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შემთხვევაში განისაზღვროს თითოეული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი/მეთოდი/გეგმა, რითაც მკაფიოდ გამოეკვეთება თითოეული მათგანის თანამონაწილეობის წილი მთლიან პროცესში;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით კინომუსიკა, კინომხატვრობა, კინოოპერატორის ოსტატობა) მითითებული იყოს სწავლა-სწავლების ის მეთოდი(ები), რომლებიც შეესაბამება აუდიო-ვიზუალური ხელოვნების/დარგის სპეციფიკას;
- რეკომენდირებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში თითოეული შეფასების კომპონენტი მოიცავდეს აღწერით ნაწილს და უფრო ცხადად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; შეფასების კომპონენტები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ., კინო მხატვრობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კრეატიული მარკეტინგი, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კინოს ისტორია, პროდიუსინგი 1, 2 ხმის დიზაინი 2, საავტორო სამართალი და სხვ.), სადაც საჭიროა თითოეულ კომპონენტში კონკრეტული მინიმალური ზღვრის გადალახვა, მიეთითოს შესაბამისი მინიმალური ზღვრები და შესწორდეს ხარვეზები ქულათა გადანაწილების სქემაში;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- რეკომენდებულია, სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდა, კერძდო კი, განხორციელდეს პროფესიული გადასაღები კამერებისა და განათლების სისტემის შესყიდვა, ასევე, კომპიუტერების დამატება, რათა განხორციელდეს ხმის დიზაინის შექმნა და მონტაჟი;
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან (განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებთან), რათა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში ახალი, პროგრამაზე მორგებული და ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას;
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების (სასწავლო კურსის, ლექტორის, საგამოცდო სისტემის შეფასება და ა.შ.) მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები;
- რეკომენდებულია, განხორციელდეს ანალოგ დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო გეგმების შესწავლა და ანალიზი. აღნიშული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან და შესაბამისად, დანერგონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით;
- რეკომენდებულია, პროგრამაზე მორგებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამის აკადემიურ გუნდთან.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, განხორციელდეს დამატებითი კონსულტაციები პროგრამაში ჩართულ დარგის თითოეულ სპეციალისტთან პროგრამის მიზნების სრულყოფის მიზნით;
- სასურველია ჩატარდეს საფუძვლიანი კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს შორის მიღების წინაპირობებით არსებული რისკების განსაზღვრისა და აღმოფხვრის თაობაზე;
- სასურველია, კურიკულუმში გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა;
- სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „აღრიცხვა და ფინანსები კინოწარმოებისთვის“ გადმოტანილ იქნას ძირითად სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია პროდიუსერის სპეციალობისთვის), რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი

ხელს უწყობს შესაბამისი უნარების გამომუშავებას, როგორიცაა მაგ., შემოქმედებითი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიუჯეტის განსზღვრის და დაგეგმვის უნარი, რთულ და მოულოდნელ სიტუაციაში დამატებით სახსრების მოძიებისა და სწორად დაგეგმვის უნარი და სხვ.;

- სასურველია, პროგრამის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, მოიძებნოს კურსის სპეციფიკის შესაბამისი რელევანტური ფორმები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და შემოქმედებით დარგებში ცოდნის დემონსტრირებას;
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა ისეთი სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით, როგორიცაა გაცვლით პროგრამები და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და ასევე, უნივერსიტეტის შუამდგომლობით დასაქმებისა. სტუდენტებს სრულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ამ მიმართულებით უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია, პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის გუნდის აქტიურ ჩართვას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში და შესაბამისად, ამ მიმართულებით მათი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მართებულ აღქმას;
- სასურველია, პროგრამის შეფასება განხორციელდეს ადგილობრივი ან უცხოელი დარგის წარმომადგენლების ექსპერტული ჩართულობით უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების N369313 (გამოიცა 08/04/2022 წელს) საფუძველზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ტრაპაიძე (თავმჯდომარე); მაია ლევანიძე (წევრი), ქრისტინე ჩიხლაძე (წევრი), მარიამ მაჭავარიანი (წევრი), შეაფასა შპს-საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დასკვნის პროექტი, რაზეც პასუხად მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და თანმხლები დოკუმენტაცია. სამწუხაროდ, ვიზიტის შემდგომ შექმნილ დოკუმენტაციას ექსპერტთა ჯგუფი მხედველობაში ვერ მიიღებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი დაეთანხმა დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ გაცემულ რამდენიმე რეკომენდაციას, ხოლო რეკომენდაციების უმეტესობასთან დაკავშირებით დააფიქსირა განსხვავებული პოზიცია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პოზიციის გაცნობის შემდგომ დასკვნაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის ზოგად განაცხადსა და მისიას, ასახავს თუ რა წვლილი შეიძლება შეიტანოს კურსდამთავრებულმა სფეროს და საზოგადოების განვითარებაში. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მეტწილად ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუმცაღა ნაკლებ რეალისტური და მიღწევადია. მიზნები ფართოა, ორიენტირებულია უნივერსალური სპეციალისტის ჩამოყალიბებაზე და ნაკლებ ასახავს თუ რა კონკრეტული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული. პროგრამა მიზნად ისახავს კინოწარმოების ყველა პოზიციაზე დასაქმებას, რაც გულისხმობს კინოწარმოებაში ჩაბმული ყველა სპეციალობისთვის საჭირო (დრამატურგია, რეჟისურა, საოპერატორო ხელოვნება, ხმის რეჟისურა, პროდიუსერის სპეციალობას) უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მიუხედავად ამისა თვითშეფასების დოკუმენტში გამოყოფილია რეჟისორის და პროდიუსერის სპეციალობა, რომლის ათვისებასაც პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლებს სტუდენტი და ასევე, პროგრამის შედეგებიც ორიენტირებულია ძირითადად მხოლოდ ამ ორ სპეციალობაზე, რაც ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაციის, პროგრამის მიზნების და თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის ავტორებს და მასში მონაწილე პერსონალს ნაკლებად აქვთ მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული წარმოდგენა პროგრამის მიზნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულად მიგვაჩნია მიზნების დავიწროება, დაზუსტება და დაკონკრეტება, რათა მათში აისახოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. მიზნების დაკონკრეტების შედეგად მეტად გამოიკვეთება რამდენად მიღწევადი და რეალისტურია ის. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, პროგრამის მიზნების ნაწილში ნათქვამია, რომ

სტუდენტი პროგრამის გავლის შედეგად იღებს სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პროგრამის სილაბუსებში აშკარად ჩნდება ტენდენცია საგანი ისწავლებოდეს დანაწევრებულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის კურიკულუმში შეინიშნება ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის მიღების დეფიციტი, რაც უარყოფითად აისახება პროგრამის მიზნების შესრულებაზეც. რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, ძირითადად ორიენტირებულია მასზედ, რომ დაასაბუთოს ამ პროგრამის არსებობის აუცილებლობა, ხაზს უსვამს კინოს ზოგად ბუნებას კოლექტიური მუშაობის/შემოქმედების შედეგად დაამზადოს საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტი, არაა გამოკვეთილი რა სპეციალობების საჭიროებაა ბაზარზე, რა პრობლემები და რა ტენდენციებია და ა.შ. ბაზრის კვლევა მეტ-ნაკლებად ტენდენციურია და არ ქმნის რეალურ სურათს. მაშასადამე, ბაზრის კვლევაში არ იკვეთება ანალიზი იმისა თუ რა სპეციალობებზეა დღეს კინოინდუსტრიაში მოთხოვნილება, ყურადღება მახვილდება პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლის პრინციპის ერთადერთობაზე, რაც არ შეესაბამება რეალობას ვინიდან პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება არსებობდა ყოველთვის საქართველოში. რეკომენდებულია, ჩატარდეს ვალიდური და სანდო შრომის ბაზრის კვლევა ქართული კინოწარმოების სფეროში არსებული მოთხოვნების შესასწავლად და საჭიროებების გამოსავლენად, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს საშუალებას მისცემს შექმნას შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ პროგრამის შექმნაში ჩართულნი იყვნენ პროგრამაში მონაწილე პირები. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამის აკადემიური გუნდის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, მიზნების დავიწროება, დაზუსტება და დაკონკრეტება, რათა მათში აისახოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; • რეკომენდებულია, ჩატარდეს ვალიდური და სანდო შრომის ბაზრის კვლევა ქართული კინოწარმოების სფეროში არსებული მოთხოვნების შესასწავლად და საჭიროებების გამოსავლენად, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს საშუალებას მისცემს შექმნას შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, განხორციელდეს დამატებითი კონსულტაციები პროგრამაში ჩართულ დარგის თითოეულ სპეციალისტთან პროგრამის მიზნების სრულყოფის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მეტ-ნაკლებად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ხოლო ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რადგან პროგრამის შედეგებში ძირითადი აქცენტი გადატანილია მხოლოდ რეჟისორის და პროდუსერის საქმიანობის სფეროებზე. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე აქაც ჩნდება შეკითხვა, თუ კურსდამთავრებული შეძლებს კინოწარმოების ყველა სეგმენტში მუშაობას, მაშინ რატომ არაა გამოტანილი თუნდაც ოპერატორის ან/და ხმის რეჟისურის სპეციალობებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები. ზოგადად, რეჟისურისა და პროდუსერის სპეციალობებისთვის წარმოდგენილი ცოდნა და გაცნობიერება, ისევე როგორც უნარები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას თუმცაღა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ბაზრის მოთხოვნათა კვლევა

რამდენიმე მიმართულებით უნდა განვითარდეს, რაც სავარაუდოდ სისტემურ მიდგომას მოითხოვს. წარმოდგენილი შრომის ბაზრის მოთხოვნები ერთმნიშვნელოვნად ეყრდნობა ზოგად მონაცემებს ცალკეულ მიმართულებებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან, მათში მოხდეს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული კინოწარმოების ყველა სეგმენტისთვის (რეჟისურა, პროდუსინგი, ხმის ოპერატორი და ა.შ.) დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სრულად ასახვა.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროთა მოთხოვნებს, მართალია არ გამორიცხავს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას, თუმცაღა, პროგრამის სასწავლო გეგმიდან ბუნდოვანია კურსდამთავრებულთა სადოქტორო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მიზნით შესაბამისი თეორიული ცოდნითა და უნარებით აღჭურვის საკითხი. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი საგნების უმეტესობა არის პრაქტიკული სასწავლო კურსები, სამაგისტრო ნაშრომიც მხოლოდ პრაქტიკული კომპონენტისგან შედგება და არ ითვალისწინებს თეორიული ნაშრომის შექმნას. აქედან გამომდინარე, მთლიანი პროგრამა ნაკლებადაა ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებასა და შესაბამისი დარგობრივი თეორიული ბაზის შეძენაზე. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება კურსდამთავრებული რამდენად დაძლევს სწავლების შემდგომი საფეხურის, დოქტორანტურის გამოწვევებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბუნდოვნად არის განსაზღვრული ზოგადი თეორიული კომპეტენციების როლი და ფუნქცია პროგრამის მთლიან მიზნებთან და შედეგებთან კავშირში, სადაც: აუდიოვიზუალური კონტენტის არსის ცოდნა, კადრირების, კალენდარული გეგმის და ბიუჯეტირების და მათი შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; ლოგისტიკის და გადაღების ნებართვების მოპოვების ცოდნა; გადასაღებ მოედანზე შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობის ცოდნა და სხვ. ასევე კონკრეტული რეგულაციების ცოდნა; უსაფრთხოების ნორმების ცოდნა და ამასთანავე ისეთი უნარები, როგორებიცაა, მაგალითად, უნარი პოტენციურ პარტნიორებთან, სცენარის ჯგუფის წევრებთან ერთად წაკითხვის და მისი დეტალური განხილვის ასპექტების და პროდიუსერისათვის საჭირო აქცენტების გამოყოფის უნარი; უდიო-ვიზუალურ ბიზნესის მართვისა უნარი; კადრირების, კალენდარულ გეგმისა და ბიუჯეტის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის უნარი; გადასაღებ მოედანზე შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობის უნარი (მათ შორის მოედანზე მონტაჟი, script continuity და playback-ი); რეჟისორის ხედვის ჩამოყალიბების უნარი, სცენარის მიხედვით პერსონაჟებისთვის შესაფერისი მსახიობების კასტინგის მეშვეობით შერჩევის და ამ პროცესის ორგანიზების უნარი; შემოქმედებითი ჯგუფის შემოკრების და მათთან შრომითი ურთიერთობის გაფორმების უნარი - ძირითადი ამ ჩამონათვალიდან არ წარმოადგენს პირდაპირ მოცემულობას იმისათვის, რათა განიხილებოდეს ერთიან კავშირში. ჩამონათვალი ვრცელია, რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების პერსპექტივაზე ჩაღრმავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება შთაბეჭდილება რომ საბოლოოდ ეს უნარები, ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ზედაპირული ხასიათის იქნება და პროფესიის დაუფლებისას, პრობლემას შექმნის კონკრეტული კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების საკითხში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში წარმოდგენილია 19 სწავლის შედეგი, რომლებიც მოქცეულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი დონის ცოდნისა და უნარების სწავლის შედეგების ქუდქვეშ. ასევე, უხვადაა წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიც. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება, მაგალითად, მსგავსი სწავლის შედეგების დაჯგუფების, გაერთიანების ხარჯზე, რადგან რაოდენობრივად ბევრი ან ურთიერთგადამფარავი სწავლის შედეგი გაართულებს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს, რომელიც უნდა განხორციელდეს როგორც შუალედურად, ისე პროგრამის დასრულების შემდგომ.

პროგრამის სწავლის შედეგებში ვხდებით ისეთ ძნელად გაზომვად, ზოგად და რიგ შემთხვევაში ბუნდოვან ფორმულირებებს როგორიცაა: „აუდიოვიზუალური კონტენტის არსის ცოდნა“, „გადასაღებ მოედანზე შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობის ცოდნა“, „მონტაჟის, გახმოვანების, ფერის კორექციის, კომპიუტერული ეფექტების გაგება“, „სცენარის სტრუქტურის, პერსონაჟების, მათი მოტივაციების, კონფლიქტების და დრამატურგიის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნა“ და ა.შ. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის მიერ ამ სწავლის შედეგების დაძლევადობის უზრუნველყოფა. კინოწარმოების სამაგისტრო პროგრამისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები წარმოდგენილი არ არის. სახელდობრ, სააკრედიტაციო პაკეტს არ ახლდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ისეთი მექანიზმები, მაგ., როგორიცაა კურიკულუმის რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სხვა ანალიზური დოკუმენტები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნიდა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის აკადემიური გუნდის ხედვაზე პროგრამის მონიტორინგისა და სწავლის შედეგების შეფასების კუთხით. შესაბამისი დოკუმენტები გამოთხოვილ იქნა ვიზიტის მიმდინარეობისას. აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმი - სადაც იდენტიფიცირებულია თითოეულ სწავლის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსი, ამ კურსიდან შეფასების ფორმა/კომპონენტი, შესაბამისი სამიზნე ნიშნულები, მონაცემების შეგროვებასა და იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირი და ა.შ. - მსგავსი დოკუმენტი წარმოდგენილი არ იქნა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განმარტებით აღნიშნული მექანიზმის არსებობა უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო რეგულაციით - საგანმანთლებლო პროგრამის დებულებით. ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდებულად მიიჩნევს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი

სამიზნე ნიშნულების მითითებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კინოწარმოების სამაგისტრო პროგრამას არ აქვს პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის სწავლის შედეგი. პროგრამის აღწერილობით დოკუმენტში არ გვხვდება წინამდებარე სწავლის შედეგი, მაშინ როცა კურიკულუმის შემადგენელ რამდენიმე სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსში პასუხიმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგები ცალსახადაა მითითებული. ბუნდოვანია პროგრამის სწავლის შედეგებში თუ რომელ სწავლის შედეგს მიემართება „კრეატიული მარკეტინგის“, „საავტორო სამართალის“ სავალდებულო სასწავლო კურსებსა და „დოკუმენტური ფილმის მომზადების“, „მსოფლიო ხელოვნების ისტორიის“, „ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციების (XX ს.ს.)“ არჩევით სასწავლო კურსებში გამოტანილი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედგები, მაშინ როცა პროგრამაში ვხედავთ მხოლოდ ცოდნისა და უნარის სწავლის შედეგებს. ხაზგასასმელია საკითხთან დაკავშირებით პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის შესაბამისი ჩანაწერიც. სახელდობრ, თვითშეფასების დოკუმენტის მე-12 და მე-13 გვერდებზე, სტანდარტის 1.2. კომპონენტთან (პროგრამის სწავლის შედეგები) მიმართები ვკითხულობთ, რომ „პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს კინოწარმოების დარგისთვის შესაბამის ცოდნას, პრაქტიკულ უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.“, ასევე, კურსდამთავრებულს ექნება უნარი მოახდინოს „მიღებული ცოდნის საშუალებით სწავლის პროცესის გაგრძელება და შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან ინტეგრირება, საკუთარი ცოდნის/უნარების მუდმივად განახლება.“, დასკვნით ნაწილში კი, „ამგვარად, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, რაც სრულად გამომდინარეობს პროგრამის დიზაინიდან და შეესაბამება როგორც დამსაქმებელთა, ასევე დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებს.“ საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა გასაუბრებისას დაადასტურეს ზემოაღნიშნული სწავლის შედეგისა და მის შინაარსში მოაზრებული შესაბამისი უნარების/კომპეტენციების გამომუშავება პროგრამის სტუდენტებისათვის.

საკუთრივ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რომელიც კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერის მიხედვით მოიაზრებს შემდეგს - „კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.“- მისი შინაარსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია იყოს სამაგისტრო საფეხურზე, განსაკუთრებით კი ისეთი პროგრამის ფარგლებში, როგორიცაა წარმოდგენილი „კინოწარმოების“ სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზნებიც ცალსახად ყურადღებას ამახვილებს *<u>კინოწარმოების მიმართულებით მაღალი კლასის სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც ექნებათ კვალიფიკაცია ფილმწარმოების სრული ციკლის შესახებ, მოსამზადებელი პერიოდიდან მის მარკეტინგამდე.</u>* პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიც ორიენტირებულია კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე. ზემოაღნიშნული

მსჯელობიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდებულად მიიჩნევს პროგრამის სწავლის შედგმებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რათა ერთი მხრივ, მოხდეს პროგრამის შინაარსით მოაზრებული შესაბამისი უნარების პროგრამის აღწერილობაში გამოტანა, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში არსებული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები დაუკავშირდეს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან, მათში მოხდეს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული კინოწარმოების ყველა სეგმენტისთვის (რეჟისურა, პროდუსინგი, ხმის ოპერატორი და ა.შ.) დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სრულად ასახვა; • რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების პერსპექტივაზე ჩაღრმავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება შთაბეჭდილება რომ საბოლოოდ ეს უნარები, ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ზედაპირული ხასიათის იქნება და პროფესიის დაუფლებისას, პრობლემას შექმნის კონკრეტული კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების საკითხში; • რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის (სულ 19 სწავლის შედეგი) და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება; პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვის შემდგომ მოხდეს მათი თემატური კონცენტრაცია - გაერთიანება; • რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები თუ ფორმულირებები; • რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მითითებით; • რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რათა ერთი მხრივ, მოხდეს პროგრამის შინაარსით მოაზრებული შესაბამისი უნარების პროგრამის აღწერილობაში

გამოტანა, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში არსებული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები დაუკავშირდეს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობების თანახმად, პროგრამაზე მაგისტრანტთა მიღება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, რომელიც ვრცელდება ერთიანი საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირებზე. აპლიკანტებს, რომლებიც ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას, ასევე ჩასაბარებელი აქვთ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები: 1. გამოცდა ინგლისურ ენაში (წერითი, B2 დონე) ან უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის არანაკლებ B2 (Upper Intermediate) დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი; 2. სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდა, რა დროსაც ფასდება სტუდენტის მოტივაცია. ასევე, მათ წარმატებით უნდა გაიარონ ადმინისტრაციული რეგისტრაცია პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დარგის მომავალი სპეციალისტები დაიშვებიან ნებისმიერი სფეროდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ძირითად სპეციალობაში გასაუბრების (შეფასდება აპლიკანტის მოტივაცია) საფუძველზე რაც ერთი მხრივ, მისასალმებელია, რადგან გაზრდის ინტერესს დარგისა და სფეროს მიმართ, თუმცაღა მეორე მხრივ, ჩნდება რისკი სპეციალობის სიღრმისეულ დონეზე ვერ შესწავლის. უფრო კონკრეტულად კი, განსხვავებული ცოდნისა და უნარების მქონე მაგისტრანტების მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს სწავლების პროცესში ჯგუფური მუშაობისას თუ თეორიული სწავლებისას წამოჭრილი ამოცანების გამარტივების რისკი და ვერ მოხდეს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა. ასევე, არსებობს რისკი, რომ მხოლოდ მოტივაციის შეფასების ფონზე, შესაძლებელია ჩარიცხულ იქნას ისეთი აპლიკანტი, რომელსაც აქვს მოტივაცია, მაგრამ არ აქვს შემოქმედებითი ხედვა/უნარ-ჩვევები, რაც გაართულებს მის მიერ სასწავლო მასალის ათვისებას და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის საკმარისი მხოლოდ მოტივაციის შემოწმება, უნდა მიძიოს შეფასების/გამოცდის ისეთი ფორმა, რაც საშუალებას მისცემს აპლიკანტს გამოავლინოს მისი შემოქმედებითი უნარ-ჩვევები. შესაბამისად, რეკომენდებულად მიგვაჩნია, ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას,

უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას. აქვე, აღსანიშნავია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თქმით, ისინი მნიშვნელოვნად მიიჩნევენ უკვე გარკვეული ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სტუდენტების მიღებას. რაც შეეხება გასაუბრების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც მოთხოვნილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საჭიროებენ შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელოვან გადახედვასა და დეტალიზაციას (იხ. გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები). პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გამჭვირვალეა, მათ შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (www.ug.edu.ge).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ გასაუბრების კრიტერიუმები (საქაღალდე: გამოთხოვილი დოკუმენტები); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიღების წინაპირობების ერთიანი მოცემულობა და დაისვას საკითხი, ერთსა და იმავე სწავლების დონეზე შექმნის თუ არა რისკს, სხვადასხვა მომზადების საფუძველზე, წინაპირობების გარეშე ფორმირებული ჯგუფის მუშაობა ოსტატებთან და პედაგოგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას; • რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რათა გასაუბრების პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ჩატარდეს საფუძვლიანი კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს შორის მიღების წინაპირობებით არსებული რისკების განსაზღვრისა და აღმოფხვრის თაობაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კინოწარმოების სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად. კინოწარმოების პროგრამა შემუშავებულია დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსით და ჰყავს სკოლისგან დამოუკიდებელი საავტორო გუნდი.

პროგრამა, მასში შემავალი სასწავლო კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. პროგრამა შეგდება 120 კრედიტისაგან, საიდანაც 108 კრედიტი პროგრამის ძირითადი საგნებია (78 სავალდებულო კურსები და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი), ხოლო 36 კრედიტი პროგრამის არჩევითი ბლოკისთვისაა გათვალისწინებული, საიდანაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ 12 კრედიტი თავისი შეხედულებისამებრ.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნული მოსაზრება არჩევითი საგნების ფართო სპექტრის შესახებ არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან პროგრამაში არჩევითი საგნებისთვის გამოყოფილია 12 კრედიტი რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ 2 სასწავლო კურსი. სასურველია, კურიკულუმში გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ მაგისტრანტს თუ სურს მიიღოს ელემენტარული ცოდნა კინოწარმოების სრულ პროცესზე, ის იძულებულია აირჩიოს პროგრამის ძირითადი/სავალდებულო საგნის ე.წ. „გაგრძელება“, რომელიც არჩევითი საგნების ბლოკშია გადატანილი. მაგალითად, ხმის დიზაინში შესაბამისი კომპეტენციების მიღების მიზნით, სტუდენტმა უნდა აირჩიოს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან „ხმის დიზაინი I“ და მისი გაგრძელება „ხმის დიზაინი II“ არჩევითი სასწავლო კურსებიდან.

არსებობს რისკი, რომ სტუდენტებმა შეიძლება არ აირჩიონ ხმის დიზაინი II-ის არჩევითი სასწავლო კურსი და ვერ გავიდნენ პროგრამით დასახულ მიზნებსა და შედეგებზე. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები სრულყოფილად უზრუნველყოფდნენ სიღრმისეული და სისტემური, სამაგისტრო დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, ხოლო არჩევითი კურსები წარმოადგენდეს მათ დამატებას და ხელს უწყობდეს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენას. შესაბამისად, სავალდებულო კურსები, როგორიცაა ხმის დიზაინი I, კინოდრამატურგის ოსტატობა I, უნდა გაძლიერდეს ამავე დასახელების არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსით ან ეს არჩევითი სასწავლო კურსები კურიკულუმში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ქუდქვეშ.

გამომდინარე პროგრამის სწავლის შედეგებიდან, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია საპროდიუსერო საქმესა და რეჟისურაზე, სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „აღრიცხვა და ფინანსები კინოწარმოებისთვის“ გადმოტანილ იქნას ძირითად სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია პროდიუსერის სპეციალობისთვის), რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი ხელს უწყობს შესაბამისი უნარების გამომუშავებას, როგორიცაა მაგ., შემოქმედებითი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიუჯეტის განსზღვრის და დაგეგმვის უნარი, რთულ და მოულოდნელ სიტუაციაში დამატებით სახსრების მოძიებისა და სწორად დაგეგმვის უნარი და სხვ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში გამოტანილია მხოლოდ ორი სპეციალობისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, თუ სტუდენტი მხოლოდ რეჟისორის და პროდიუსერის საქმიანობაში ხელოვნდება, მაშინ როგორ ხდება მისი დასაქმება კინოწარმოების ყველა სეგმენტში? - აღნიშნულიც ბუნდოვანია და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სასწავლო პროგრამის კონცეფცია არ არის მკაფიო და რეალისტური, ბუნდოვნადაა გააზრებული სწავლების მეთოდოლოგია.

მართალია, წარმოდგენილი პროგრამა აგებულია საქართველს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, რომლითაც დაშვებულია შემოქმედებითი-საშემსრულებლო პროგრამები შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისგან და არ მოიცავდეს კვლევას, ამიტომ ამ ნაწილში, ის შეესაბამება კანონს, თუმცა სრულად არ შეესაბამება სამაგისტრო სწავლების დონეს ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, რადგან ნაკლებად უზრუნველყოფს სტუდენტებს სწავლების საფეხურის შესაბამისი თეორიული ცოდნით. კურიკულუმის მსგავსი სტრუქტურა და დიზაინი, ისევე როგორც მისი შემუშავების მეთოდი აპრობირებულია ამერიკის კინოსკოლაში და წარმატებით გამოიყენება, თუმცა არა სამაგისტრო დონეზე, არამედ საბაკალავრო სწავლების დონეებზე. ამიტომაც, მთლიანად ეყრდნობა პრაქტიკული სწავლების პრინციპებს და ნაკლებად ითვალისწინებს თეორიული სეგმენტის არსებობას. პროგრამა არის ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული, რაც არ არის საკმარისი სამაგისტრო საფეხურისთვის. განსაკუთრებით კი იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში მნიშვნელოვნად შეინიშნება მაგისტრატურის დონის შესაბამისი დარგობრივი თეორიული ცოდნის შეძენის დეფიციტი. შესაბამისად, პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ

კვალიფიკაციასთან და რისკებს ქმნის პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევის მიმართულებით. კურიკულუმის საგნობრივ ჩამონათვალში ჩნდება თეორიისა და ისტორიის შემადგენელის მნიშვნელოვანი დანაკლისი. კერძოდ კი, კურიკულუმში თეორიული საგნები თითქმის მთლიანად არის გადატანილი არჩევითი საგნების ბლოკში (ძირითად სასწავლო კურსებში არის მხოლოდ ერთი თეორიული საგანი -მსოფლიო კინოს ისტორია I). აღნიშნული თეორიული არჩევითი საგნების არჩევითობის შესაძლებლობა თითქმის არ არსებობს, რადგან თუ სტუდენტს სურს პროფესიული უნარ-ჩვევების სრულად შეძენა ამა თუ იმ კინოპროფესიაში, ის იძულებულია აირჩიოს პრაქტიკული არჩევითი საგნები, რომლებიც წარმოდგენენ ძირითადი პრაქტიკული საგნების გაგრძელებას. რეკომენდებულია სიღრმისეულად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, გაიზარდოს თეორიული სეგმენტის წილი და გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების სისტემა, რათა შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კინოწარმოების სამაგისტრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები სრულყოფილად უზრუნველყოფდნენ სიღრმისეული და სისტემური, სამაგისტრო დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, ხოლო არჩევითი კურსები წარმოადგენდეს მათ დამატებას და ხელს უწყობდეს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენას. შესაბამისად, სავალდებულო კურსები, როგორიცაა ხმის დიზაინი I, კინოდრამატურგის ოსტატობა I, უნდა გაძლიერდეს ამავე დასახელების არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსით ან ეს არჩევითი სასწავლო კურსები კურიკულუმში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ქუდქვეშ; • რეკომენდებულია სიღრმისეულად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, გაიზარდოს თეორიული სეგმენტის წილი და გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების სისტემა, რათა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, კურიკულუმში გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა; • სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „აღრიცხვა და ფინანსები კინოწარმოებისთვის“ გადმოტანილ იქნას ძირითად სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია პროდიუსერის სპეციალობისთვის), რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი ხელს უწყობს შესაბამისი უნარების გამომუშავებას,

როგორიცაა მაგ., შემოქმედებითი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიუჯეტის განსზღვრის და დაგეგმვის უნარი, რთულ და მოულოდნელ სიტუაციაში დამატებით სახსრების მოძიებისა და სწორად დაგეგმვის უნარი და სხვ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სასწავლო კურსები, მათი სტრუქტურა და ფორმა შემუშავებულია უნივერსიტეტის შიდარეგულაციების გათვალისწინებით. სასწავლო კურსების შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა შემდეგი: ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. მნიშვნელოვანია განხორციელდეს სილაბუსების (განსაკუთრებით სავალდებულო სასწავლო კურსების) სწავლის შედეგების გადახედვა, რაოდენობის შემცირება და მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია, წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოდიფიცირება, მათი გაზომვადობის, მიღწევადობის და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. პროგრამისა და სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთიანობა და თანაკვეთა საშუალებას მისცემს

პროგრამის ხელმძღვანელებსა და სასწავლო კურსების ლექტორებს, უფრო კონკრეტული და რაც მთავარია, არსებითი კავშირი დაადგინონ მათ შორის და უზრუნველყონ პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა, ისევე როგორც მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

აღსანიშნავია, რომ თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, თუმცაღა რიგ სასწავლო კურსებში გარკვეული სწავლის შედეგები არ შეესაბამება ამ სასწავლო კურსების მიზნებს. მაგ., კინოს მხატვრობის სილაბუსის სწავლის შედეგებში მონიშნულია - ლოკაციების შერჩევა, მომზადება, კოსტუმებისა და რეკვიზიტის შერჩევაში მონაწილეობის მიღება; მაღალი გემოვნება, ფერისა და კომპოზიციის გრძნობა, მხატვრული და ორიგინალური აზროვნება- რაც თავის მხრივ, შედეგების ჩამონათვალში, ვრცელი და ძალზე დანაწევრებული შესაძლებლობების შემდეგ, მოიცავს მაგალითად ასეთ ჩანაწერსაც: წარმოებული ფილმის რეკლამირებისა და გაყიდვის უნარი. ეს უკანასკნელი კურსის მიზნების სპეციფიკას არ პასუხობს და არც კინოს მხატვრის სწავლების კომპონენტად შეიძლება მოვიაზროთ. ასევე, კინოოპერატორის ოსტატობის სილაბუსში მიზნებსა და შედეგებში (უნარების ნაწილში), კონკრეტიკას და გამართვას თხოულობს იმგვარი განმარტებანი, როგორებიცაა, მაგალითად: ვიზუალური აღქმის ფსიქოლოგიური საფუძვლები; კინოოპერატორის საქმიანობის მნიშვნელობა და თავისებურებები საქართველოსა და მსოფლიო კინემატოგრაფში. აღნიშნული ჩანაწერები ძალიან ზოგადია და ითხოვს შინაარსობრივ ჩაშლას. მაგ., ვიზუალური აღქმის რა ტიპის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს ასწავლის კურსი და რა მნიშვნელობასა და თავისებურებებს მოიცავს საქართველოსა და მსოფლიო კინემატოგრაფში კინოოპერატორის ოსტატობა. იდენტური პრობლემებია სწავლის შედეგებთან (განსაკუთრებით უნარების ნაწილში) დაკავშირებით კინომუსიკის სასწავლო კურსშიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაიხედოს კინომუსიკის, კინომხატვრობისა და კინოსაოპერატორის ოსტატობის სასწავლო კურსებში უნარების ქუდქვეშ არსებულია სწავლის შედეგები, რადგან მათი თეორიული ერთიანობის ხედვა პრობლემურია. რეკომენდებულია, თითოეული მათგანის სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ აუცილებელი უნარები და ასევე, დარგისთვის რელევანტური უნარები. ასევე, ამავე სასწავლო კურსებში კითხვებს ბადებს საკითხავი მასალის ნაწილში, ლექციის ბოლოს საშინაო დავალების რა ტიპი, რა ფორმა იქნება გამოყენებული, რათა ის ლიტერატურის ჩამონათვალთან შესაბამისობაში მოვიდეს, რაც სავარაუდოდ, უნდა გადაიხედოს და კონკრეტული ხასიათი მიეცეს.

კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-ვიზუალური რეჟისურის (ნაწილობრივ), მონტაჟისა და ხმის დიზაინის სასწავლო კურსების შესწავლის შემდგომ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრედიტების გადანაწილება მექანიკურია, ასევე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება ნაკლებად შეესაბამება სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსისა და სირთულის დაძლევას, ნაკლებად არის გათვალისწინებული დარგის სპეციფიკა. ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსებში მოცემულია თეორიული და პრაქტიკული ნაწილიც, რომელთა სწავლებაც შეზღუდულ დროში არარეალისტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნული პრაქტიკული სასწავლო კურსების საკონტაქტო საათები არ არის საკმარისი კურსებით გათვალისწინებული შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. რეკომენდებულია, კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-

ვიზუალური რეჟისურის, მონტაჟის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსებში მოხდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა, საკონტაქტო საათების გაზრდა და დიფერენცირება სალექციო და სტუდიური მუშაობის საათებად.

აღსანიშნავია, რომ საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის სასწავლო კურსებში იკვეთება უახლესი დარგობრივი თეორიული ცოდნის და მიღწევების გათვალისწინება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების პროცესში, გამოყენებულია ძველი ლიტერატურა, ერთგვაროვანი და უმეტესად მხოლოდ ქართული. რეკომენდირებულია, საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის და აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების კურსებში გამოყენებული იქნას თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურა.

სილაბუსების ნაწილში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, კინომუსიკის სასწავლო კურსის სავალდებულო (ძირითადი) ლიტერატურის ნაწილის სიმწირე, რაც არ შეესაბამება ამ რთული თეორიული საგნის მრავალმხრივობას და მის დიაპაზონს. სასწავლო კურსებში ზოგადად კითხვას ბადებს თეორიული სწავლებისთვის გამიზნული საათების რაოდენობა, ბალანსი თეორიასა და პრაქტიკას შორის არ არის დაცული.

სასწავლო სილაბუსების შესწავლამ გამოკვეთა, რომ პროფესიული გამოცდილების მიმართულებით, მნიშვნელოვანი შემადგენლით და სინთეზური კომპონენტებითაა წარმოდგენილი აუდიო-ვიზუალური რეჟისურა (სილაბუსი AART5112), სადაც გათვალისწინებულია ზოგადი კომპეტენციების მთავარი სისტემა, ვიზუალური დრამატურგიის და კომპოზიციური ხედვის ზოგადი და კონკრეტული არსის სწავლება, ასევე თანამედროვე აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სპეციფიური კომპონენტების შესწავლა და აუდიო-ვიზუალური ფორმატის მახასიათებლების შესწავლა. ეს კონკრეტული სისტემა დადებითად იმოქმედებს სწავლების პროცესზე და ის ფასდება, როგორც პროგრამის დადებითი შემადგენელი. აუდიო-ვიზუალური რეჟისურის კურსის მიზანში დასახელებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნა ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმებს ითვალისწინებს, რაც თავისთავად პასუხობს მის შედეგებს დარგობრივ კომპეტენციებსა და ზოგად კომპეტენციებში.

ასევე, კინოს ისტორიის სასწავლო კურსი მისი შინაარსით და სტრუქტურით თანხვედრაშია სასწავლო კურსის ძირითად მიზნებთან და სწავლის შედგმებთან. ინფორმატიულია და შესაძლებლობების რესურსის მხრივ დადებითად უნდა შეფასდეს პროდიუსინგის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსის სილაბუსები. ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს პროფესიულად გააზრებული მსოფლიო კინოს ისტორიის კურსისთვის წარმოდგენილი სილაბუსი, სადაც სწავლების მეთოდები ადეკვატურია, ლიტერატურის ჩამონათვალი პასუხობს მოთხოვნებს, ხოლო შინაარსის ნაწილში განსაკუთრებით ჩანს, კარგად გააზრებული თემატური თანმიმდევრობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა ისევე, როგორც თეორიული რესურსის ჩამონათვალში (ეტაპებად დაყოფილი და კონკრეტულ თემებად შეჯერებული პერიოდიკის ჩათვლით). საყურადღებო და დადებითად დინამიურია თავისი განვითარებით კინოდრამატურგიის კურსისთვის

წარმოდგენილი სილაბუსები, მიზნებისა და შედეგების ადეკვატურობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, განხორციელდეს წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოდიფიცირება, მათი გაზომვადობის, მიღწევადობის და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; • რეკომენდებულია გადაიხედოს კინომუსიკის, კინომხატვრობისა და კინოსაოპერატორის ოსტატობის სასწავლო კურსებში უნარების ქუდქვეშ არსებულია სწავლის შედეგები, რადგან მათი თეორიული ერთიანობის ხედვა პრობლემურია. რეკომენდებულია, თითოეული მათგანის სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ აუცილებელი უნარები და ასევე, დარგისთვის რელევანტური სწავლის შედეგები; • რეკომენდებულია, კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-ვიზუალური რეჟისურის, მონტაჟის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსებში მოხდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა, საკონტაქტო საათების გაზრდა და დიფერენცირება სალექციო და სტუდიური მუშაობის საათებად; • რეკომენდირებულია, საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის და აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების კურსებში გამოყენებული იქნას თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები მეტწილად უზრუნველყოფენ შესაბამისი პრაქტიკული კომპონენტის შესწავლასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, რადგან 1) როგროც აღვნიშნეთ, რიგი პრაქტიკული სავალდებულო სასწავლო კურსები გაყოფილია სავალდებულოდ და არჩევით კურსებად და მათით განსაზღვრული უნარების შეძენა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ თუ სტუდენტი აირჩევს სავალდებულო სასწავლო კურსის გამაგრძელებელ არჩევით კურსს, 2) პრაქტიკული სასწავლო კურსების საკონტაქტო საათების რაოდენობა არის ძლიან ცოტა, რაც საეჭვოს ხდის 20 სტუდენტის მიღების შემთხვევაში თითოეულ მათგანთან ინდივიდუალური მუშაობის პერსპექტივას და რეალურ შედეგებზე გასვლას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის საბოლოო საკვალიფიკაციო/პრაქტიკული/სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს და გულისხმობს 20 წუთიანი ფილმის ჯგუფურად შექმნას. კინოწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკული ნამუშევარი წარმოადგენს კოლექტიური მუშაობის შედეგს. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, ბუნდოვანია როგორ მოხდება თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური ნამუშევრის შეფასება მთლიან კოლექტიურ სამაგისტრო/პრაქტიკულ ნაშრომში. მაგ., რეჟისორის შედეგი რეალურად შეფასდება, მაგრამ პროდიუსერის შემთხვევაში ეს გაძნელდება. არსებული რისკების აღმოფხვრა შესაძლებელია თეორიული ნაშრომის წარმოდგენის შემთხვევაში (მაგალითად განსაკუთრებით პროდიუსერის შემთხვევაში). შესაბამისად აუცილებელი და რეკომენდებულია პრაქტიკულ ნამუშევართან ერთად თეორიული ნამუშევრის წარმოდგენა, ვინაიდან სამაგისტრო დონეზეა საუბარი. რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შემთხვევაში განისაზღვროს თითოეული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი/მეთოდი/გეგმა, რითაც მკაფიოდ გამოეკვეთება თითოეული მათგანის თანამონაწილეობის წილი მთლიან პროცესში. აღნიშნული

დაეხმარება პროგრამის აკადემიურ გუნდს, შეაფასოს რამდენად შეიძინა სტუდენტმა სწავლების პროცესით განსაზღვრული პროფესიული უნარ-ჩვევები და რამდენად დამოუკიდებლად შეძლებს ის თავისუფალ სივრცეში პროფესიულ განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პრაქტიკული და თეორიული ნამუშევრის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომის სახით, ვინაიდან სამაგისტრო დონეზეა საუბარი და პროგრამის ფარგლებში შესაფასებელია რამდენიმე სეგმენტი კინოწარმოებიდან (რეჟისორი, პროდიუსერი, კინოოპერატორი, ხმის დიზაინი და სხვ.); • რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შემთხვევაში განისაზღვროს თითოეული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი/მეთოდი/გეგმა, რითაც მკაფიოდ გამოეკვეთება თითოეული მათგანის თანამონაწილეობის წილი მთლიან პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **[redacted] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების შესწავლისას იკვეთება სწავლების მეთოდების გარკვეული ტიპის თანამიმდევრულობა, თუმცა დაძლევადობის საკითხში პრობლემურია ერთიანი ჩამონათვალი, სადაც უხვად ფიგურირებს ისეთი სწავლა-სწავლების მეთოდები როგორიცაა: ლექცია-სემინარი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ინტერაქტიული ლექციები, სიახლეთა გარჩევა, პრაქტიკული მუშაობა, გუნდური მუშაობა, კრიტიკული ანალიზი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები, შემთხვევის შესწავლა და ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატი, სიმულაცია, როლური თამაშები და სხვ., პრეზენტაციების წარდგენა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაციები, შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ვიდეო-აუდიო სასწავლო მასალის გამოყენება, საკუთარი სამუშაოს კრიტიკული შეფასება, სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა, პრობლემების დასმა და მათი გადაჭრა.

ამ ჩამონათვალში, ზოგიერთი კომპონენტი ფაქტობრივად სწავლების მეთოდების რიცხოვნობას ზრდის და არა მათ მნიშვნელობას, ისეთები, როგორიცაა მაგალითად, პრობლემის დასმა და მათი გადაჭრა, კონსტრუქციული კრიტიკა, ანალიზი და სინთეზი, - მეთოდის ჩამონათვალში მნიშვნელოვანია მოხდეს ერთიანი შინაარსით მათი გაერთიანება ან თემატურად მაგალითად ანალიზის და სინთეზის განსაზღვრა, კონკრეტულ პროცესთან მიმართებაში. განსაკუთრებით სწავლების მეთოდები ნაკლებ შეესაბამება ქვემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს: კინომუსიკის, კინომხატვრობის, კინოოპერატორის ოსტატობის სილაბუსები.

მნიშვნელოვანია, შემუშავებული სწავლა-სწავლების მეთოდების თანმიმდევრული განხილვა უშუალოდ სწავლების ყველა ეტაპთან და სასწავლო კურსთან მიმართებით, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის ხელმძღვანელებსა და თითოეული სასწავლო კურსის ლექტორს, თავდაპირველი და შემდგომი ეტაპებისთვის დამახასიათებელი მთავარი აქცენტებით წარმართონ სწავლების პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- პროგრამის სილაბუსები;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- ინტერვიუები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით კინომუსიკა, კინომხატვრობა, კინოოპერატორის ოსტატობა) მითითებული იყოს სწავლა-სწავლების ის მეთოდი(ები), რომლებიც შეესაბამება აუდიო-ვიზუალური ხელოვნების/დარგის სპეციფიკას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრეს (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: სტუდენტების შეფასება პროგრამის ფარგლებში გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისია. სტუდენტთა შეფასება, სასწავლო კურსით დადგენილი პროცედურის მიხედვით, ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, შუალედური შეფასება 65%, ხოლო დასკვნითი შეფასება - 35%-ით არის განსაზღვრული. აღნიშნული წესი დაცულია ყველა სასწავლო კურსში და წინასწარვეა ცნობილი სტუდენტებისათვის. ამასთან, სამაგისტრო სწავლების დებულებაში განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვრები.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, თითოეული კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება როგორც შუალედური შეფასებები, ასევე დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასება მოიცავს მრავალკომპონენტიან შეფასებებს. მაგალითად: ქვიზი, ტესტირება, პრეზენტაცია, რეფერატი და სხვა. შეფასების მეთოდები და კომპონენტები მითითებულია სილაბუსებში და წინასწარვეა ცნობილი სტუდენტებისათვის, თუმცა არ არის დაკონკრეტებული და ცხადი თუ მაგალითად რას გულისხმობს კომპონენტი და რა კრიტერიუმებითა და რუბრიკებით ხდება სტუდენტის ცოდნის/უნარის გაზომვა და შეფასება. შესაბამისად, რეკომენდირებულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში თითოეული შეფასების კომპონენტი მოიცავდეს აღწერით ნაწილს და უფრო ცხადად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები. გარდა ამისა, სასწავლო კურსების ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა რიგ შემთხვევებში არ ზომავს და არ აფასებს სილაბუსებით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. შესაბამისად, საჭიროა, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის, მისი მიზნისა და სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების მეთოდები (კომპონენტები, კრიტერიუმები, რუბრიკები) შეირჩეს და განისაზღვროს.

ამასთან, ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ. აღრიცხვა და ფინანსები კინოწარმოებისთვის) მითითებულია შენიშვნა პრეზენტაციის კომპონენტზე, რომელიც, როგორც სილაბუსიდან ჩანს, მოიცავს წერილობით ნაშრომს და მის წარდგენას (პრეზენტაციას): „თითოეულ კომპონენტში სავალდებულოა მინიმუმის გადალახვა. წინააღმდეგ შემთხვევაში განულდება მთლიანი შეფასების ქულა“, თუმცა, წერილობითი ნაშრომის გასწვრივ მითითებულია, რომ მინიმალური ზღვარია - 0 ქულა, ხოლო პრეზენტაციის ნაწილისათვის არც არის განსაზღვრული კონკრეტული ზღვარი. ასევე, პრეზენტაციის კომპონენტი 100 ქულიანი გადანაწილებიდან, მოიცავს 16 ქულას, რომელიც სილაბუსში მითითებული ჩანაწერის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: პრეზენტაცია - 40%, წერილობითი ნაშრომი - 60%, ხოლო, აქვე, წერილობითი ნაშრომის გასწვრივ მითითებულია, რომ ნაშრომი ფასდება 16 ქულით, რაც წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. შესაბამისად, რეკომენდირებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ., კინო მხატვრობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კრეატიული მარკეტინგი, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კინოს ისტორია, პროდიუსინგი

1, 2 ხმის დიზაინი 2, საავტორო სამართალი და სხვ.), სადაც საჭიროა თითოეულ კომპონენტში კონკრეტული მინიმალური ზღვრის გადალახვა, მიეთითოს შესაბამისი მინიმალური ზღვრები და შესწორდეს ხარვეზები ქულათა გადანაწილების სქემაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების სისტემა გარკვეულწილად საჭიროებს დახვეწას. სასწავლო კურსებში (მაგ., ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, აუდიო-ვიზუალური რეჟისურა, კინოდრამატურგის ოსტატობა 2, კინოოპერატორის ოსტატობა და სხვ.) ძირითადად ყოველი საკონტაქტო საათი მოიცავს ქვიზს, წერით გამოკითხვას და მსგავს შეფასებებს. პროგრამის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია მოიძებნოს კურსის სპეციფიკის შესაბამისი რელევანტური ფორმები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და შემოქმედებით დარგებში ცოდნის დემონსტრირებას.

აღსანიშნია, რომ სამაგისტრო სწავლების დებულებაში განსაზღვრულია გასაჩივრების უფლებისა და პროცედურების შესახებ ჩანაწერი, ხოლო ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ აღნიშნულის შესახებ სტუდენტები ინფორმირებულები არიან და უსარგებლიათ შესაბამისი პროცედურების დაცვით.

ამასთან, სამაგისტრო სწავლების დებულებაში განსაზღვრულია, რომ სტუდენტები შეფასებისას ინდივიდუალურად იღებენ უკუკავშირს ლექტორის მხრიდან როგორც მიღწეულ შედეგებზე, ასევე, საკუთარი ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების შედეგების შესახებ. აღნიშნული დადასტურდა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- პროგრამის სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში თითოეული შეფასების კომპონენტი მოიცავდეს აღწერით ნაწილს და უფრო ცხადად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; შეფასების კომპონენტები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ., კინო მხატვრობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კრეატიული მარკეტინგი, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კინოს ისტორია, პროდიუსინგი 1, 2 ხმის დიზაინი 2, საავტორო სამართალი), სადაც საჭიროა

თითოეულ კომპონენტში კონკრეტული მინიმალური ზღვრის გადალახვა, მიეთითოს შესაბამისი მინიმალური ზღვრები და შესწორდეს ხარვეზები ქულათა გადანაწილების სქემაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პროგრამის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, მოიძებნოს კურსის სპეციფიკის შესაბამისი რელევანტური ფორმები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და შემოქმედებით დარგებში ცოდნის დემონსტრირებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **▉ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები: უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნას: სტუდენტები საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, დასაქმებასა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე, კონფერენციებსა და პროექტებზე რეგულარულად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მხრიდან; როგორც ინტერვიუებიდანაც გამოირკვა, სტუდენტებისათვის კომფორტული და მოსახერხებელია საუნივერსიტეტო პორტალი სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა პირდაპირ დაამყარონ კომუნიკაცია და მიიღონ საჭირო ინფორმაცია როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან; გარდა ამისა, უნივერსიტეტი სხვა საკომუნიკაციო პორტალებსაც აქტიურად იყენებს. თუმცა, როგორც მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამომჟღავნდა, უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია ექსტრაკურიკულარული აქტივობების, დასაქმების, საერთაშორისო მობილობისა თუ სხვა შესაძლებლობების შესახებ, რიგ შემთხვევებში არ ერგებოდა მათ ინტერესებსა და საჭიროებებს. ამიტომ, საჭიროა უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, რათა „კინოწარმოების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის არსებობდეს შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა თუ უნივერსიტეტის შუამდგომლობით დასაქმებისთვის. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში მოიაზრება სტუდენტებთან ინდივიდუალური კონსულტაციებისათვის განსაზღვრული დრო, რომლის გრაფიკიც თითოეული სემესტრის დასაწყისში თავსდება კონკრეტული სკოლის დაფაზე და საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასთვის, მაგრამ სასურველია აღნიშნული ინფორმაცია ზოგადი სახით მაინც იყოს განთავსებული სილაბუსებში, რათა სტუდენტები უკეთ იყვნენ ინფორმირებულები მათი უფლების შესახებ მიმართონ ლექტორს დამატებითი კონსულტაციებისათვის. სტუდენტებისათვის საჭირო სასწავლო მასალები განთავსებულია საბიბლიოთეკო სივრცეში და ამასთან, მათ აქვთ შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში გამოიყენონ

საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები (მაგ. JSTOR, Scopus, ScienceDirect და ა.შ.).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ სამაგისტრო სწავლების დებულება; ○ პროგრამის სილაბუსები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა ისეთი სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით, როგორიცაა გაცვლით პროგრამები და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და ასევე, უნივერსიტეტის შუამდგომლობით დასაქმებისა. სტუდენტებს სრულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ამ მიმართულებით უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს-საქართველოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

სამაგისტრო სწავლების დებულებაში განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები, მათ შორის ხელმძღვანელისა და სტუდენტის უფლება/მოვალეობები.

როგორც მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამომჟღავნდა, ხელმძღვანელებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ სტუდენტებთან და თემის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრება შეხვედრების რაოდენობა. ამასთან, ხელმძღვანელები მაქსიმალურად ეხმარებიან სტუდენტებს ნაშრომზე მუშაობისას გამოვლენილ ნებისმიერ საჭირო საკითხთან დაკავშირებით (ლიტერატურის თუ სხვა რესურსების მოძიება და ა.შ.).

კინოწარმოების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, ნაშრომების ხელმძღვანელობისათვის, განსაზღვრულია სამი ადამიანი, ხოლო მისაღები სტუდენტების რაოდენობაა 20. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ვინაიდან იქმნება ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომი, აქედან გამომდინარე მაგისტრანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას.

სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისათვის, პროგრამა უზრუნველყოფს შესაბამის ტექნიკურ რესურსებს სტუდენტებისათვის და როგორც აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან (ადმინისტრაციულ და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან) გამოირკვა, იგეგმება აღნიშნული რესურსის კიდევ გაზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის სილაბუსები;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზები;
- უნივერსიტეტის ვებ. გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული საგნების პედაგოგების პირადი ინფორმაცია, პრაქტიკულ და თეორიულ ასპექტებში ამჟღავნებს მათი ავტორების შემოქმედებითი აქტივობის დონეს, რაც ხელოვნების ისტორიის, მსოფლიო კინოს ისტორიის, თუ სხვა საგნების პედაგოგთა პირად ინფორმაციაშიც ვლინდება და პრაქტიკული სპეციალობების პედაგოგთა მიერ წარმოდგენილ პირად ინფორმაციაშიც. ძირითადად დადებითად შეფასდა პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც კურსების თემატური და საკვალიფიკაციო კომპეტენციის აუცილებელ მოთხოვნებს პასუხობს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა დამაკმაყოფილებელია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. თუმცაღა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი გარკვეულწილად გადასახედია მოწვეული პედაგოგების და აკადემიური პერსონალის რაოდენობას შორის ბალანსის დაცვის მიზნით, რადგან პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 მოწვეული და 2 აკადემიური პერსონალი (რომელთაგან მხოლოდ ერთია დარგის სპეციალისტი). რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა. როგორც სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, პერსონალი მონაწილეობს სტუდენტების კონსულტირების და

მათთან მუშაობის პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება, მათ მიერ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე, რაც ასახულია მათ პირად მონაცემებში და პრაქტიკულ პროექტებში; რეჟისურის, საოპერატორო ოსტატობის, ხმის და ა. შ მიმართულებით, კინოს და ხელოვნების ისტორიის მიმართულებით არსებული პერსონალის დოკუმენტაცია ადასტურებს შესაბამის სფეროში მათ კომპეტენტურობას. მოწვეული და აკადემიური პერსონალის გამოცდილება, მათი კომპეტენცია ეყრდნობა წარმოდგენილ სათანადო მონაცემებს, სადაც ნათლად აისახება მათი კვალიფიკაცია და შესაბამისობა საგნებთან მიმართებაში. თეორიული საგნების პედაგოგები (თითოეული მათგანი) აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს სამეცნიერო კვლევებში, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რაც სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს. პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად გადანაწილებული დატვირთვის გეგმა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მათ დატვირთვას სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პირადი ინფორმაცია პერსონალის შესახებ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უმაღლესი პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, რაც გამოიხატება მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების მხარდაჭერაში. აღნიშნული მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტი მის სტრუქტურაში შემავალ სამსახურებთან ერთად (აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახური, პროექტების მართვის სამსახური, სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქცია) კოორდინაციას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებების განსაზღვრას; სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებას; უნივერსიტეტში უახლეს ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული კვლევების წარმოებასა და მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესთან; უნივერსიტეტში სამეცნიერო პოლიტიკის დაგეგმვა-მართვასა და სხვ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის დებულება, რომელიც აღწერს და განმარტავს უნივერსიტეტში არსებულ აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და

დამხმარე პოზიციებს/თანამდებობებს, ამ პოზიციებზე დასაქმების კრიტერიუმებს, პოზიციებზე დასაქმებულთა ზოგად უფლება-მოვალეობებს და სხვ. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი და დატვირთვის განსაზღვრის სქემა. დოკუმენტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. კონკრეტულად კი, მასში აღწერილია მუდმივი აკადემიური პერსონალის ატესტაციის პროცესი, რომელიც ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. აკადემიური პერსონალის ატესტაცია ხდება მისი სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის შეფასებით. დადგენილია სამეცნიერო აქტივობის მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიურ პერსონალი. ატესტაციის შედეგები გამოიყენება პერსონალის პროფესიული განვითრების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვისთვის. აღსანიშნავია, რომ პერსონალის დებულების მიხედვით აკადემიური პერსონალი ვალდებულია თავადაც იზრუნოს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გაეცნოს მის სფეროში სიახლეებსა და საერთაშორისო გამოცდილებას, აწარმოოს კვლევა და გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აღნიშნულში მხარს უჭერს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, აკადემიური პერსონალის განვითარებისა და წახალისების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია პრემიის გაცემის ინსტრუქცია, რომელიც ასეთი ანაზღაურების წინაპირობად ადგენს რეფერირებად ჟურნალში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას. ასევე, უნივერსიტეტი ანაზღაურებს მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეების ხარჯებს. აღნიშნული დადასტურდა აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს, კერძოდ, დაადასტურეს უნივერსიტეტის მიერ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა. დაბოლოს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს შეფასების სახელმძღვანელო, ამ სახელმძღვანელოს შესაბამისად შემუშავებულია შეფასების სხვადასხვა მეთოდი და ფორმა. თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად შემფასებელი კომისიის მიერ წელიწადში ორჯერ. შეფასების სახელმძღვანელოს თანახმად, უზრუნველყოფილია უკუკავშირის მექანიზმიც. შესაბამისად, შეფასების პროცესს აუცილებლად ახლავს მიღებული შედეგების ანალიზი და მათი განხილვა თანამშრომლებთან ერთად. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება ინდივიდუალურ თანამშრომელთან შეხვედრა-ინტერვიუს ფორმატით. შეფასების შედეგები გამოიყენება რეკომენდაციების შემუშავებისთვისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ პერსონალის დებულება;

○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას გააჩნია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი. საბიბლიოთეკო რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად პასუხობს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკაში განთავსებულია

სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული რესურსები.

ინტერვიუების შედეგებისა და მატერიალური ბაზის დათვალიერების შემდგომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ინტერნეტ-რესურსი და საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების შესახებ.

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს რესურსს, რომელიც განთავსებულია სპეციალურად მოწყობილ სივრცეში და ჯერჯერობით პროგრამაში წარმოდგენილ რაოდენობრივ სტუდენტურ სეგმენტზე არ არის გათვლილი. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში არაა გაწერილი სტუდიების განვითარებისთვის აუცილებელი თანხები. სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა-არასრულფასოვანია, მაგალითად 2 პროფესიონალური კამერა ემსახურება 20 სასერტიფიკატო პროგრამაზე მიღებულ სტუდენტს და ასევე უნდა მოემსახუროს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით მისაღებ 20 მაგისტრანტს. სამაგისტრო პროგრამაზე იგივე რაოდენობის სტუდენტების მიღების შემთხვევაში ეჭვის ქვეშ დგება როგორც სწავლების პროცესის ჯეროვანი განხორციელება და სასწავლო პროცესში აქტიური პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება, ასევე საკვალიფიკაციო ნაშრომის რეალურად შესრულება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებები სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდის თაობაზე უნივერსიტეტის მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი, თუმცაღა საგულისხმოა, რომ გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს გადასაღები, სამონტაჟო და სხვა ტექნიკის შეძენის გეგმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ითვალისწინებს პირველად და პირველ ეტაპზე აუცილებლობის ფარგლებში გათვლილ მოთხოვნებს, რასაც უნდა დაემატოს გათვალისწინებული და სრული რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც შესყიდვების გეგმის სახით არის გაჟღერებული. რეკომენდებულია, სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდა, კერძდო კი, განხორციელდეს პროფესიული გადასაღები კამერებისა და განათლების სისტემის შესყიდვა, ასევე, კომპიუტერების დამატება, რათა განხორციელდეს ხმის დიზაინის შექმნა და მონტაჟი.

მატერიალური რესურსი და სასწავლო ბაზა შესაბამისად მეტწილად პასუხობს პროგრამით გათვალისწინებული საგნების მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდა, კერძდო კი, განხორციელდეს პროფესიული გადასაღები კამერებისა და განათლების სისტემის შესყიდვა, ასევე, კომპიუტერების დამატება, რათა განხორციელდეს ხმის დიზაინის შექმნა და მონტაჟი.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის წლიური სავარაუდო ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი აჩვენებს, რომ პროგრამა, რომელზედაც სწავლის საფასური წლიურად სტუდენტზე 6250 ლარს შეადგენს, გეგმავს 20 სტუდენტის მიღებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსით განხორციელდება პროგრამის შემოსავალი თანაბრად განაწილდება უნივერსიტეტსა და საგანმანათლებლო პროგრამას შორის. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ითვლის სტუდენტთა სწავლის საფასურით მიღებულ შემოსავალს (სულ 125000 ლარს), ხოლო ხარჯვით ნაწილში წარმოდგენილია მხოლოდ აკადემიური პერსონალის ხელფასის ანაზღაურება და დაქირავებული ფართის სემესტრული ხარჯი.

ბუნდოვანია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელიც ვფიქრობთ არასრულადაა წარმოდგენილი. პროგრამის ბიუჯეტში არ ჩანს ადმინისტრაციული ხარჯი, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამიზნული ხარჯი, საბიბლიოთეკო ფონდის, სასწავლო გრანტის/სტიპენდიების, სტუდენტური პროექტებისთვის გამოყოფილი ხარჯი და სხვ.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია პროგრამის როგორც სასწყისი დადგეგმვის, ისე მისი შემდგომი განვითარების ფაზებში, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდეულად მიაჩნია, პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები განსაზღვრულია სამსახურის მართვის დებულებით, რომლის თანახმადაც სამსახურის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ავტორიზაციის, აკრედიტაციის, საერთაშორისო აკრედიტაციის, ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილებები, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ უნივერსიტეტში აკადემიური საქმიანობის სტანდარტების დადგენას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების ჯეროვნად მართვას (როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო), მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსების, საუნივერსიტეტო სერვისების, არსებული პროცედურებისა და მექანიზმების მუდმივ ექსპერტულ შეფასებას, მონიტორინგსა და მათი განვითარების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვისა და ამაღლების მიზნით შექმნილია QMS- ხარისხის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც კოორდინირებას უწევს ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაციის შექმნასა და დამტკიცებას, ახორციელებს სისტემის მუშაობის ანალიზს, რის საფუძველზეც შეიმუშავებს რეკომენდაციებს შიდასაუნივერსიტეტო სტრუქტურული დეპარტამენტების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მისი სტრუქტურის, მონიტორინგისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკა, მექანიზმები თუ პროცედურები, ისევე როგორც ამ პროცესებში ჩართული თითოეული პასუხისმგებელი პირის ფუნქციები აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში. დებულების თანახმად დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე, სააკრედიტაციო დოკუმენტების მომზადებაზე, ისევე როგორც შესაბამისი კვლევებისა და ანალიზური დოკუმენტების მომზადებაზე და ა.შ. პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი(ები), რომელიც ვალდებულია უზრუნველყოფს სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის დაგეგმვის და შეფასების ეტაპებზე. შემუშავებული პროგრამის განხორციელების პროცესში კი უკვე პროგრამის ხელმძღვანელს გარკვეულ დახმარებას უწევს მიმართულების ხელმძღვანელი და სასწავლო პროგრამის კურატორი. ამასთან, დამოუკიდებელი საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირია დამოუკიდებელ საგანმანთლებლო პროგრამის ადმინისტრაციული დეკანი, ხოლო მართვის უმაღლესი ორგანოა პროგრამის განვითარების საბჭო.

საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მიხედვით პროგრამის შემუშავებისა და აკრედიტაციის პროცესში ჩართულია პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და ანალიზი პროგრამის მიზნებისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით და რომლის შემადგენლობაშიც მუდმივ წევრებად შედიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. ამავე დებულების მიხედვით, პროგრამის აკრედიტაცია/რეაკრედიტაციის

მიზნით იქმნება პროგრამის აკრედიტაციის საბჭო, რომლის წევრების რაოდენობაც განისაზღვრება 7-ით, საიდანაც საბჭოს 4 მუდმივი წევრია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკრედიტაციის განყოფილების უფროსი, ავტორიზაციის განყოფილების უფროსი, ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი, ხოლო საბჭოს არჩევითი წევრები დაკომპლექტებულია შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ განსაზღვრული 1 აკადემიური პერსონალით და სტუდენტურ საქმეთა ცენტრის დებულებით დადგენილი წესით 1 სემესტრის ვადით არჩეული სტუდენტით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში არსებული ზემოაღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები პროცედურულად სჩანს, რომ უზრუნველყოფენ პროგრამის შემუშავების, მისი განვითარებისა თუ შეფასების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობას, თუმცაღა აღნიშნული არ დადასტურდა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან თუ კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. უფრო კონკრეტულად, პროგრამაში ჩართული და პანელზე წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეები ბუნდოვნად იცნობენ, ან რიგ შემთხვევაში არ იცნობენ პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების მიმართულებით არსებულ მექანიზმებს და ვერ ადასტურებენ მათ აქტიურ ჩართულობას აღნიშნული მექანიზმების შემუშავების პროცესში. პროგრამის აკადემიური გუნდი არ იცნობს წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, განსაკუთრებით კი სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს. ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელების დაბალი ინფორმირებულობა საკითხთან მიმართებით. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამას აქვს 19 სწავლის შედეგი, რომელთა შეფასების გეგმასა და პროცედურებზე პროგრამის ხელმძღვანელების, ისევე როგორც აკადემიური გუნდის წარმოდგენები ბუნდოვანია.

გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ პროგრამის განხორციელებისა და შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელების, მოწვეული და აკადემიური პერსონალის მიერ გადამისამართება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალზე, რაც ცალსახად მიუთითებს ინფორმირებულობის დაბალ დონეზე. ექსპერტთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, ისევე როგორც შეფასების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შემუშავების პროცესში მოხდეს პროგრამის პერსონალის ეფექტიანი ჩართულობა. შესაბამისად, რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან (განსაკუთრებით პროგრამის ხელძღვანელებთან), რათა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში ახალი, პროგრამაზე მორგებული და ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას;

ასევე, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში გამოკვეთილი პრობლემური

საკითხების (იხ. 1 სტანდარტის შეფასება) აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანია და შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისთვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ძირითადად ცენტრალიზებულია და პროცედურების, პოლიტიკისა თუ მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია, სასურველია, პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის გუნდის აქტიურ ჩართვას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში და შესაბამისად, ამ მიმართულებით მათი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მართებულ აღქმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ○ უნივერსიტეტის მართვის დებულება - ადმინისტრაციულ-სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის დებულება; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან (განსაკუთრებით პროგრამის ხელძღვანელებთან), რათა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში ახალი, პროგრამაზე მორგებული და ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას; • რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის გუნდის აქტიურ ჩართვას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში და შესაბამისად, ამ მიმართულებით მათი

ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მართებულ აღქმას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება უნივერსიტეტში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებით, რა დროსაც ხორციელდება აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება და რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომში გამოიყენება პროგრამების განვითარების პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების მიზნით იყენებენ საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოებთან კომუნიკაციას და თანამშრომლობას. თვითშეფასებაზე თანდართული დოკუმენტებით, წარმოდგენილი პროგრამის შეფასება გარე ექსპერტთა მიერ არ დასტურდება. სასურველია, პროგრამის შეფასება განხორციელდეს ადგილობრივი

ან უცხოელი დარგის წარმომადგენლების ექსპერტული ჩართულობით უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაინტერესებული მხარეების პერსპექტივის პროგრამაში ასახვის მიზნით იყენებენ კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათი კონკურენტუნარიანობის, პოტენციური დამსაქმებლების კვლევასა და მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრას, ისევე როგორც ახორციელებენ დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენას. პერიოდულად ხორციელდება ანალოგ პროგრამებთან პროგრამის შედარებაც.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასების მიზნით ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, რა დროსაც განხორციელდა მსგავსი პროგრამების კურსდამთავრებულთა, პოტენციურ დამსაქმებელთა და დარგის თვითნასწავლი კონტინგენტის წარმომადგენელთა გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები, რომელშიც ძირითადად ყურადღება გამახვილებულია საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაზე, ასახულია პროგრამის კურიკულუმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა და სასწავლო კურსები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის შეფასება განხორციელდეს ადგილობრივი ან უცხოელი დარგის წარმომადგენლების ექსპერტული ჩართულობით უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესები, მეთოდები და მექანიზმები დოკუმენტურად გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დებულების რეგულაციაში. წინამდებარე დოკუმენტი პროგრამის ინიცირებისა და შემუშავების პარალელურად განსაზღვრავს პროგრამის განახლებისა და მისი სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ პროგრამის მონიტორინგის მიზნით აქტიურად გამოიყენება სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულების გამოკითხვები სასწავლო კურსის, სასწავლო პროცესის, ლექტორისა და უნივერისტეტში მიღებული განათლების შესახებ. ამასთან, პროგრამის შეფასების მიზნით დანერგილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის პრაქტიკა. აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთვრებულებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტში სისტემური სახე არ აქვს პროგრამასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ გამოკითხვებს. ასევე, არ დასტურდება საუნივერსიტეტო სერვისების, ინფრასტრუქტურის შეფასების, კურსდამთავრებულთა და პროფესორს-მასწავლებელთა კმაყოფილების შეფასების დადგენის მიზნით განხორციელებული გამოკითხვებისა და კვლევების სისტემურობა. გასაუბრებით ირკვევა, რომ არც კვლევის შედეგებზე აქვთ წვდომა სამიზნე ჯგუფებს და ამ მიმართულებით ინფორმირებულობის დონე ძალიან დაბალია. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების (სასწავლო კურსის, ლექტორის,

საგამოცდო სისტემის შეფასება და ა.შ.) მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას.

საქართველოს უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამის შემუშავების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის დებულებით განსაზღვრული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასავლური ანალოგიური პროგრამების შესწავლა (იხ. საგანმანათლებლო პროგრამების დებულება, თავი 3, პუნქტი 4). პროგრამის ანალოგების შესწავლა და მათთან შედარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე, არამედ აღნიშნული შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომში მონიტორინგის ეფექტიან მექანიზმადაც. ანალოგ პროგრამებთან შედარების ანალიზის დოკუმენტი გამოთხოვილ იქნა ვიზიტის დროს. მიღებული დოკუმენტის განხილვის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებელი მხარე. კერძოდ, დოკუმენტი არ იძლევა მკაფიო და ზუსტ წარმოდგენას განხილული და შესწავლილი ანალოგი პროგრამების მიზნებზე, სწავლის შედგმებზე, სწავლების მეთოდოლოგიასა და სასწავლო გეგმაზე, ანალიზურ დონეზე არ აჩვენებს მსგავსება-განსხვავებას შესწავლილ პროგრამებსა და სამაგისტრო პროგრამას შორის. მნიშვნელოვანია და შესაბამისად რეკომენდებულია, განხორციელდეს ანალოგ დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო გეგმების შესწავლა და ანალიზი. აღნიშული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან და შესაბამისად, დანერგონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სწავლის შედეგების შეფასების გეგმასა თუ პროცედურებზე. რეკომენდებულია, პროგრამაზე მორგებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამის აკადემიურ გუნდთან.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილი საგანმანთლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესების სისტემატიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ფარმაციის პროგრამის წლიური ანგარიში;
- ანალოგი პროგრამები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების (სასწავლო კურსის, ლექტორის, საგამოცდო სისტემის შეფასება და ა.შ.) მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები;
- რეკომენდებულია, განხორციელდეს ანალოგ დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო გეგმების შესწავლა და ანალიზი. აღნიშული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან და შესაბამისად, დანერგონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით;
- რეკომენდებულია, პროგრამაზე მორგებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამის აკადემიურ გუნდთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **|** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **შპს - საქართველოს უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: **„კინოწარმოება“, მაგისტრატურა**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **55 გვ.**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ქეთევან ტრაპაიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>
სახელი, გვარი, ხელმოწერა

მაია ლევანიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა
ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა
მარიამ მაჭავარიანი